იდიდე მარად, ჩემო სამშობლოვ!

საბჭოჯლოს ხელი


უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების გამოცემა

გამოცემის მე-9 წელი

№ 10 (128)

ი ვ ლ ი ს ი

1965 წელი



თბილისი, სანაპირო ჭუჩა მეტეხის ხიდთან.

ახალ შეხვედრამდე, მეგობრებო!

სოხუმი, შავი ზღვის სანაპიროზე გამოსათხოვარი კოცონი გაეჩაღებინათ. აქ კოცონთან ლათინური ამერიკის ქვეყნების საზაფხულო სკოლის დამთავრების დიპლომები გადაეცათ ამ სკოლის მსმენელებსა და სპეციალური სტუმრებს. ერთი თვე გატარეს ამ მეგობრობის ბანაკში, სოფელ ეშერაში საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტის საწარმოო ბაზაში ლათინური ამერიკის ბევრი ქვეყნის სტუდენტებმა და ასპირანტებმა, სულ 120 კაცმა, რომლებიც სსრ კავშირის სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებელში სწავლობენ, აგრეთვე მათმა სტუმრებმა — საბჭოთა სტუდენტებმა.

მეცადინეობის პროგრამაში შედიოდა სიმპოზიუმი თანამედროვე საერთაშორისო ურთიერთობის პრობლემებზე, სემინარები ისეთ თემებზე, როგორიც არის ლათინური ამერიკის რევოლუციის, ინდუსტრიალიზაციისა და სხვა პრობლემები. ღია ცის ქვეშ ეწყობოდა დისპუტები და დისკუსიები, ლექციები და საუბრები, მიძღვნილი თანამედროვე ფიზიკისა და მათემატიკის პრობლემებისადმი, ბიოლოგიისა და მოსაზღვრე მეცნიერებათა განვითარებისადმი, სტუდენტთა საერთაშორისო მოძრაობის საკითხებისადმი.

დიდი ყურადღება ეთმობოდა სასოფლო-სამეურნეო პრაქტიკას. ყველა სტუდენტმა იმუშავა სასწავლო მეურნეობის ნაკვეთებში.

საზაფხულო სკოლის მონაწილენი იყვნენ აფხაზეთის ერთ-ერთ წამყვან მეჩაიეობის კოლმეურნეობა „დურიფშში“, გაეცვნენ შავწყალას კალმახის მეურნეობის მუშაობას, იყვნენ ექსკურსიაზე ახალი ათონის, გაგრის, რიწის ჯანმრთელობის კურორტებში, დაათვალიერეს ისტორიული ძეგლები.

ბანაკში ჩქეფდა კულტურული ცხოვრება. აქ უჩვენებდნენ საბჭოთა კავშირის, მექსიკის, პერუს კინოფილმებს, ზღვის ნაპირზე კაფე „ჩაჩაჩაში“ ეწყობოდა ეროვნული მუსიკის, სიმღერისა და ცეკვის საღამო-კონცერტები. აქ სტუდენტთა ძალებით მოეწყო პერუს უძველეს მცხოვრებთა ხელოვნების ნაწარმოებების გამოფენა, დაიდგა სკოლის ერთ-ერთი მსმენელის ევადორელი საადას პიესა „მაღალი საზოგადოება“.

ზეიმით აღნიშნეს სტუდენტებმა კუბისა და ერაყის რევოლუციების წლისთავი, პერუს ეროვნული დამოუკიდებლობის დღე, ლათინური ამერიკის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელი ბრძოლის გმირის სიმონ ბოლივარის დაბადების დღე.

საზაფხულო სკოლის საპატიო სტუმრები იყვნენ საქართველოსა და აფხაზეთის თვალსაჩინო მეცნიერები, მწერლები, საზოგადო მოღვაწეები, პარტიული და კომკავშირული მუშაკები.

სკოლის ვიცე-პრეზიდენტმა, ხალხთა მეგობრობის უნივერსიტეტის სტუდენტმა რაულ კალიქსმა მეგობრობის ბანაკის დახურვისადმი მიძღვნილ საზეიმო საღამოზე თქვა:

— დაუვიწყარია მზიურ საქართველოში გატარებული დღეები, აქ კარგად ვისვრომეთ, ვისწავლეთ, და რაც მთავარია, ვისწავლეთ მეგობრობა ყველა ქვეყნისა და კონტინენტის ახალგაზრდებთან. ახალ შეხვედრამდე, მეგობრებო!

საქართველოს სტუმრები

ქართველ მეჯალურგებთან

ქართველ მეტალურგებთან ორ დღეს იყო სტუმრად ინგლისის ფოლადსასხმელი მრეწველობის პროფკავშირთა კონფედერაციის დელეგაცია. დელეგაციის შემადგენლობაში იყვნენ კონფედერაციის გენერალური მდივნის მოადგილე დ. დევისი, კონფედერაციის აღმასკომის წევრები დ. სუზერლანდი, მ. სემერვილი, ლ. ბამბერი და ჯ. ჯონსი.

ჩამოსვლის დღეს სტუმრებმა დაათვალიერეს თბილისის ღირსშესანიშნაობანი. შემდეგ ეწვივნენ საქართველოს მეტალურგიული მრეწველობის მუშაობა პროფკავშირის რესპუბლიკურ კომიტეტს. კომიტეტის თავმჯდომარემ დ. ზ. ცირეკიძემ ინგლისის ფოლადსასხმელი მრეწველობის პროფკავშირთა კონფედერაციის წარმომადგენლებს გააცნო ქართველ მეტალურგთა პროფკავშირის საქმიანობა. საუბარში მონაწილეობდნენ სსრ კავშირის მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარე ი. ი. კოსტიუკოვი და ამ პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. დ. ნოვიკოვი.

ინგლისელი სტუმრების დიდი ინტერესი გამოიწვია ქალაქ რუსთავში წასვლამ. აქ ისინი შეხვდნენ მეტალურგიული ქარხნის დირექტორს ო. სულაძეს. ინგლისის ფოლადსასხმელი მრეწველობის პროფკავშირულმა მოღვაწეებმა დაწვრილებით გამოიკითხეს, თუ როგორ მიმდინარეობს საწარმოს მუშაობა, როგორ ცხოვრობენ და შრომობენ რუსთაველი მეტალურგები. სტუმრებმა დაათვალიერეს მარტენის, საგლინავი, მილსაგლინავი და სხვა საამქროები, იყვნენ მარტენის საამქროს მუშათა სასადილოში.

ინგლისელ სტუმრებს დაათვალიერებინეს რუსთავი, კულტურის სასახლე, სტადიონი, კულტურისა და დასვენების პარკი, ღამის სანატორიუმი, სადაც მეტალურგები ჯანმრთელობას იკაჟებენ.

— კი შეიძლება კაცს შეშურდეს თქვენი, ამბობდნენ დელეგაციის წევრები.

დელეგაცია დ. დევისის მეთაურობით დაესწრო რუსთავის მეტალურგიული ქარხნის პროფკავშირული აქტივის კრებას, რომელმაც მოისმინა ი. ი. კოსტიუკოვის მოხსენება მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის მუშაობის შესახებ. მან გამოთქვა რწმენა, რომ საბჭოთა და ინგლისელ მეტალურგთა მეგობრული კონტაქტი ხელს შეუწყობს საერთაშორისო პროფკავშირული მოძრაობის პროგრესს.

დ. დევისმა, რომელსაც შეკრებილნი გულთბილად შეხვდნენ, თქვა, გვახარებს საბჭოთა კავშირში რომ ჩამოვედით და ურთიერთობა დავამყარეთ საბჭოთა მეტალურგების პროფკავშირთანო. მან აღნიშნა, რომ დელეგაციის წევრებს ყველგან განსაკუთრებული გულთბილობითა და სტუმართმოყვარეობით ხვდებოდნენ.

რუსთაველ მეტალურგთა ბავშვები გულითადად მიესალმნენ სტუმრებს ინგლისურად, უკრავდნენ მათ. მეტალურგთა კულტურის სასახლის მხატვრული თვითმოქმედების მონაწილეებმა სტუმრებს გაუმართეს კონცერტი.

ინგლისის ფოლადსასხმელი მრეწველობის პროფკავშირთა კონფედერაციის მოღვაწენი, რომლებიც ჩვენს ქვეყანაში მოგზაურობენ, თბილისიდან ლენინგრადში გაფრინდნენ. აეროპორტში ისინი გააცილეს მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ ი. ი. კოსტიუკოვმა, საქართველოს პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს მდივანმა ვ. დ. ლოლობერიძემ, საქართველოს მეტალურგიული მრეწველობის მუშათა პროფკავშირის რესპუბლიკური კომიტეტის თავმჯდომარემ დ. ზ. ცირეკიძემ.

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების

მეორე პლენუმი

ამ დღეებში შედგა უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების მეორე პლენუმი.

პლენუმზე მოხსენებით გამოვიდა და უკანასკნელი ერთი წლის მანძილზე გაწეული მუშაობის შესახებ ილაპარაკა საზოგადოების თავმჯდომარემ პროფესორმა **პ. ხუჭუამ.**

კამათში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტის პროფესორმა **ვ. დონდუამ,** თეატრალური ინსტიტუტის დოცენტმა, ხელოვნებათმცოდნე **ო. ფირალიშვილმა,** საქართველოს სსრ კულტურის სამინისტროს რესპუბლიკური ბიბლიოთეკის დირექტორმა **პ. კანდელაკმა,** აკადემიკოსმა **შ. ამირანაშვილმა,** სრულიად საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა **ეფრემ მეორემ,** საქართველოს სსრ სავაჭრო პალატის თავმჯდომარემ **რ. ელიგულაშვილმა,** პროფესორმა **გ. მღებრიშვილმა,** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დოცენტმა **ო. გიგინეიშვილმა,** რეპატრიანტმა **ს. ნინიკაშვილმა.**

პლენუმმა საზოგადოების მიერ ერთი წლის განმავლობაში გაწეული მუშაობა დამაკმაყოფილებლად ჩათვალა.

პლენუმმა მიიღო დადგენილება უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა შორის მომავალში მუშაობის კიდევ უფრო გაფართოებისა და განმტკიცების მიზნით.

მოეწყო საზოგადოების პრეზიდიუმის ხელახალი არჩევნები.

პრეზიდიუმის ძველდაგენლობაში არჩეულ იქნენ: საქართველოს სსრ ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, თბილისის ვ. სარაჯიშვილის სახელობის სახელმწიფო კონსერვატორიის პროფესორი **პ. ხუჭუა,** საქართველოს სსრ საგარეო საქმეთა მინისტრი **ა. გეგეშვილი,** საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი **ო. თაქთაქიშვილი,** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ვიცე-პრეზიდენტი **რ. დვალი,** თბილისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **ა. მელაძე,** საქართველოს სსრ ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარე **დ. მჭედლიშვილი,** საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დოცენტი **ო. გიგინეიშვილი,** საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე **დ. ანთაძე,** საქართველოს სსრ მწერალთა კავშირის მდივანი, პროფესორი **ს. ჭილაია,** რადიომაუწყებლობისა და ტელევიზიის უფროსი რედაქტორი **აკ. ნიუარაძე,** საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების უფროსი რეფერანტი **გ. კავთია შვილი.**

შედგა უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების ახლად არჩეული პრეზიდიუმის სხდომა. სხდომამ თავმჯდომარედ კვლავ აირჩია **პ. ხუჭუა.** მოადგილეებად არჩეული არიან **ო. გიგინეიშვილი** და **აკ. ნიუარაძე,** საზოგადოების პასუხისმგებელ მდივნად არჩეულია **გ. კავთიაშვილი.**

პრეზიდიუმმა რადიოგადაცემათა რედაქტორად დაამტკიცა **აკ. ნიუარაძე,** გაზეთ „სამშობლოს ხმის“ რედაქტორად — საქართველოს სსრ ჟურნალისტთა კავშირის თავმჯდომარე **დ. მჭედლიშვილი.**

საქართველო იზმირის ბაზრობაზე

მიმდინარე წლის 20 აგვისტოს იხსნება ტრადიციული საერთაშორისო ბაზრობა ქ. იზმირში (თურქეთი), რომელშიც მრავალი წლის განმავლობაში მონაწილეობას იღებს საბჭოთა კავშირიც. პირველად იზმირის ბაზრობის ისტორიაში საბჭოთა კავშირის პავილიონში წარმოდგენილი იქნება საქართველო ცალკე ექსპოზიციით. საქართველოს დათმობილი აქვს 400 კვადრატული მეტრი ფართობი, სადაც გამოფენილი იქნება საქართველოს მრეწველობის პროდუქცია, მათ შორის თბილისური ელმავალი, ქუთაისური ავტომანქანა, ბათუმის ქარხნის წყალქვეშა ფრთებიანი გლისერი, მომჭედელი ჩაის ფაბრიკის მოდელი და სხვ. წარმოდგენილი იქნება აგრეთვე საქართველოს მუშაობა მრეწველობის პროდუქცია, საქართველოს ფოტოხედები, დიაგრამები. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა იმ ექსპონატებს, რომლებიც საჭიროა თურქეთის მრეწველობისა და სოფლის მეურნეობისათვის, და, ამიტომ შეიძლება გამოიწვიოს თურქეთის საქმიანი წრეების ინტერესი.

ამასთან ერთად საქართველოს ექსპოზიციისათვის გაიგზავნა დოკუმენტური კინოფილმები და მხატვრულ-მუსიკალური ფილმი „ქეთო და კოტე“. ფილმები ნაჩვენები იქნება ქართულ ენაზე თურქული სუბტიტრებით. საბჭოთა პავილიონის დამთვალიერებლები სრულ წარმოდგენას მიიღებს დღევანდელი საქართველოს შესახებ.



შოთა რუსთაველის ბიუსტი

როგორც დიდი სახალხო ზეიმისათვის, ეროვნული კულტურის ნამდვილი დღესასწაულისათვის ისე ემზადება ქართველი ხალხი თავისი დიდი შვილის, გენიალური პოეტისა და მოაზროვნის შოთა რუსთაველის დაბადების 800 წლისთავისათვის, რომელიც 1966 წლის სექტემბერში აღინიშნება.

შოთა რუსთაველის იუბილესათვის აქტიურად ემზადებიან ქართული ხელოვნების ოსტატები — კინოს, თეატრის მუშაკები, მხატვრები, კომპოზიტორები, რომელთაც შთააგონებთ გენიალური პოეტის სწორუპოვარი პოემა.

დიდი პოეტის იუბილესათვის განზრახულია განხორციელდეს სპექტაკლები, დაიდგას ფილმი „ვეფხისტყაოსნის“ მოტივებზე.

საიუბილეო კომიტეტის გადაწყვეტილებით მიზანშეწონილია გამოცხადდეს კონკურსი რუსთაველის ძეგლის ავებაზე. ახლა ფუნჯისა და საჭრისის ოსტატები თავიანთ ახალ ნამუშევრებში აცოცხლებენ პოეტის სახეს, მისი უკვდავი ნაწარმოების გმირებს.

სურათზე: ქუთაისელი მოქანდაკე გიორგი ნიკოლაძე რუსთაველის ბიუსტზე მუშაობის დროს.

ძვირფასი მანუსკრიპტები

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ხელნაწერთა ინსტიტუტის სპეციალისტებმა დაამთავრეს „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ უმდიდრესი ხელნაწერთა ფონდის მეცნიერული აღწერა.

უძველეს ფასეულობათა ამ უდიდეს კრებულში არის 2.222 ძველი ქართული მანუსკრიპტი, 8 ათასზე მეტი ხელნაწერი ისტორიული დოკუმენტი. მათი უმთავრესობა უნიკალურია. ზოგიერთი ეგზემპლარი დათარიღებულია V-VI საუკუნეებით. მაგალითად, 976 წლის შატბერდის კრებული ყველაზე ადრეული ორიგინალური ქართული ისტორიული ძეგლია. იგი „ქართლის ცხოვრებასთან“ ერთად საფუძვლად დაედო საქართველოს უძველესი ისტორიის შედგენას.

მეცნიერმა არქეოგრაფებმა ყოველმხრივ შეისწავლეს ძეგლები. ინსტიტუტის დირექტორმა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორეს-პონდენტმა ი. აბულაძემ, მაგალითად, დაადგინა ერთ-ერთი შეტად საინტერესო უძველესი ქართული ძეგლის „წმიდა მამათა სწავლანი“ თარიღი. იგი განეკუთვნება 943 წელს და შეიცავს ბერძნული ტექსტების უძველეს თარგმანებს.

მეცნიერთა განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს საგალობელთა ცნობილი კრებული, რომელიც გამოჩენილმა ქართველმა ჰიმნოგრაფმა მიქაელ მოდრეკილმა შეადგინა. ეს კრებული, რომელიც შეიცავს ქართველ ავტორთა ბევრ ჰიმნს, IX-X საუკუნების ქართული სასულიერო პოეზიის შედევრია. ჰიმნებს დართული აქვს უცნობი სანოტო ნიშნები, რომლებიც საგალობელთა მელოდიურობას მოწმობენ.

მეცნიერ არქეოგრაფთა ეს მრავალი წლის ნაშრომი გამოიცემა შვიდ ტომად და შეავსებს ინსტიტუტის ხელნაწერთა ფონდის საერთო აღწერის ოცტომეულში, რომლის 14 ტომი უკვე გამოცემულია.

დიდი იყო „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების“ როლი წარსული საუკუნესა და ჩვენი საუკუნის დამდეგის საქართველოს პოლიტიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. ეს საზოგადოება, რომელიც მოწინავე საზოგადო მოღვაწეებისა და დემოკრატი მწერლების ილია ჭავჭავაძისა და დიმიტრი ყიფიანის ინიციატივით შეიქმნა, დიდ საგანმანათლებლო საქმიანობას ეწეოდა ხალხში. მისი დახმარებით შენდებოდა სკოლები, ღარიბთა ბავშვებს ამარაგებდნენ სახელმძღვანელოებით. საზოგადოების წევრები სოფლებში მიდიოდნენ და პედაგოგიურ მუშაობას ეწეოდნენ. ამ საქმიანობას ფართოდ უჭერდა მხარს ხალხი, ხოლო როცა გამოირკვა, რომ გამოცხადებული იყო ძველი ძეგლების დაცვა, საქართველოს ყველა კუთხიდან „საზოგადოებას“ საჩუქრად უგზავნიდნენ უძველეს ხელნაწერებს, იშვიათ ბეჭდვითს გამოცემებს.

ამ ძვირფასი საცავის გასამრავლებლად ბევრი რამ გააკეთეს საზოგადო მოღვაწეებმა, მეცნიერებმა, პედაგოგებმა — მთელმა ქართველმა ინტელიგენციამ. თავიანთი პირადი ბიბლიოთეკები გადასცეს საზოგადოებას ილია ჭავჭავაძემ, პროფესორმა დავით ჩუბინიშვილმა, პოეტმა რაფიელ ერისთავმა და ბევრმა სხვამ. ბევრი ძალღონე და ენერგია მოახმარეს ფონდის გამდიდრებას პროფესორმა ექვთიმე თაყაიშვილმა, პეტრე უმიკაშვილმა, ალექსანდრე როინიშვილმა, იოსებ დავითაშვილმა.

ფონდის საერო ძეგლების პირველი დაწვრილებითი აღწერა ეკუთვნის ექვთიმე თაყაიშვილს, რისთვისაც მას 1894 წელს მიენიჭა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის ოქროს მედალი.

ახლა ინსტიტუტის არქეოგრაფები აწარმოებენ ქართულ ხელნაწერთა თემატურ შესწავლას. ეს წინასწარი მუშაობაა ქართულ ხელნაწერთა ერთიანი საგნობრივი კატალოგის შესადგენად.

48.240 ნიშნოსანი


საქართველოს ტურიზმის რესპუბლიკური საბჭო პროფკავშირთა ნებაყოფლობითი სასპორტო საზოგადოების რესპუბლიკურ საბჭოებთან („განთიადი“, „ქარიშხალა“, „სპარტაკი“, „ლოკომოტივი“, „შრომითი რეზერვები“) და საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს რესპუბლიკურ ბავშვთა საექსკურსიო სადგურთან ერთად აწყობს ჩასათვლელ ტურისტულ ლაშქრობებს რესპუბლიკის მთის რაიონებში.

წელს მომზადებულია 5 ათასი მოსწავლე „ნორჩი ტურისტის“ ნიშნის მისაღებად, 40 ათასმა მუშამ და მოსამსახურემ შეასრულა „სსრ კავშირის ტურისტის“ ნიშნოსნის ნორმები, 3.240 კაცმა კი I, II და III საფეხურების ნიშნის „სსრ კავშირის ტურისტის“ ნორმები.

ახალი საამქროები

გორი. შენდება საკონსერვო ქარხნის ახალი საამქროები. დამთავრდა ხილ-ბოსტნეულის გადამმუშავებელი საამქროს კორპუსის მშენებლობა. ახლა წარმოებს მანქანა-დანადგარების მონტაჟი. საამქრო ყოველწლიურად 22 მილიონ ქილა კონსერვს გამოუშვებს.

დიდი ყურადღება ექცევა ძველი საამქროების ავტომატიზაციასა და მექანიზაციას. ახალი სეზონისათვის, რომელიც ივნისის მეორე ნახევარში დაიწყება, მექანიზებული იქნება კომპოტის ხაზები. მიმდინარეობს აგრეთვე ბოსტნეულის ხიზილალის დამზადების ტექნოლოგიური ხაზის მექანიზაცია.



სულ უფრო იზრდება, მშვენდება და კეთილმოწყობილი ხდება საქართველოს დედაქალაქი თბილისი. ამ სურათზე თქვენ ხედავთ ახალი ხიდის პროექტს. იგი შენდება ბარათაშვილის სახელობის ხიდის ადგილზე და მზად იქნება მიმდინარე წლის ბოლოსათვის.

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული

პროფესორ პ. ვ. ხუჭუას მოწყალებას

პატივცემულო ამხანაგებო!

ერთ წელზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც შეიქმნა უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოება, რომელიც მიზნად ისახავს სამშობლოსაგან დიდი ხნის განმავლობაში მოცილებული თანამემამულეებისათვის ლიტერატურის მიწოდებას, გაზეთისა და რადიოს საშუალებით სამშობლოს ამბების გაცნობას, უგზო-უკვლოდ დაკარგულ თანამემამულეთა ძებნას და სხვ.

დღეს უკვე შეგვიძლია ვილაპარაკოთ ჩვენი საზოგადოების მიერ მოპოვებულ პირველ წარმატებებზე, იმ სიმპათიებსა და პატივისცემაზე, რომლითაც იგი სარგებლობს საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეთა შორის და რესპუბლიკის მოსახლეობაში. ცხადია, ჩვენი საზოგადოების ავტორიტეტის ზრდას დიდად შეუწყო ხელი იმანაც, რომ მის მუშაობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ რეპუბლიკის შემოქმედებითი ორგანიზაციები, მეცნიერების, ლიტერატურისა და ხელოვნების გამოჩენილი მოღვაწენი, რომლებიც კარგად არიან ცნობილი არა მარტო ჩვენში, არამედ საზღვარგარეთაც. არანაკლები მნიშვნელობა ჰქონდა აგრეთვე იმას, რომ გაზეთისა თუ რადიოს საშუალებით ჩვენს მიერ ნათქვამი ყოველი სიტყვა შესაფერის ნიადაგს პოულობდა გარეჩართველთა შორის იმ უბრალო და ადვილად გასაგები მიზეზის გამო, რომ ყოველი პატიოსანი ადამიანის გულში, სადაც უნდა იმყოფებოდეს იგი, გამუდმებით ღვივის სამშობლოსადმი, მშობლიური ხალხისადმი უსაზღვრო სიყვარულისა და თავდადების გრძნობა. ეს კეთილშობილური გრძნობა ყოველთვის იყო დამახასიათებელი ჩვენი ხალხისათვის. მან თავი იჩინა უდიდესი განსაცდელის ჟამს, როცა უცხოეთში მცხოვრები ათასობით ქართველი თავგანწირვით იბრძოდა საფრანგეთის, იტალიის, ჰოლანდიის, იუგოსლავიის მიწა-წყალზე გერმანელ ფაშისტთა წინააღმდეგ სამშობლოს თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის სახელით. სიყვარულის ეს გრძნობა გასაგები და ხელშესახები ხდება დღესაც, მათთან მიმოწერისა თუ უშუალო შეხვედრების დროს.

საზოგადოება ცდილობს მიაწოდოს შესაფერისი სულიერი საზრდო საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეებს მათი მოთხოვნილებების გათვალისწინებით. მარტო უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში საზღვარგარეთ გავაგზავნეთ ათასზე მეტი წიგნი, ქართული ხალხური სიმღერებისა და კლასიკური ეროვნული მუსიკის მრავალი ჩანაწერი, ქართველ მწერალთა პორტრეტები და სხვ. საბერძნეთში მცხოვრებ თანამემამულეთა მოთხოვნით ქალაქ სალონიკის მეგობრობის საზოგადოებას გაეგზავნა ქართული ბიბლიოთეკა და ფოტოგამოფენა, რომელიც ნათლად ასახავს ჩვენი რესპუბლიკის დღევანდელ დღეს. რადიოსა და გაზეთის საშუალებით უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებს სისტემატურად მოვუთხრობთ ჩვენს ყოფაცხოვრებაზე, ვეხმარებით მათ ნათესავებთან კავშირის დამყარებაში. გაზეთის საშუალებით მოძებნილ იქნა სამამული ომში დაკარგული რამდენიმე თანამემამული, რომლებსაც ახლა აქტიური მიმოწერა აქვთ საქართველოში მცხოვრებ ნათესავებთან.

ასე დავეხმარეთ ჩვენ ფ. ტატიშვილს (იორდანია), ა. ბალახაშვილის (სირია), თ. ფილიპოვს (საფრანგეთი) და მრავალ სხვას საქართველოში მყოფი ნათესავების მოძებნასა და მათთან კავშირის აღდგენაში.

ოც წელზე მეტი ხნის განმავლობაში ვ. ელიზბარაშვილის მახლობლებმა არაფერი იცოდნენ მის არსებობაზე. მხოლოდ ჩვენს გაზეთში გამოქვეყნებული განცხადების შემდეგ გახდა შესაძლებელი მათ შორის კავშირის დამყარება. ამ რამდენიმე თვის წინათ კი ვ. ელიზბარაშვილი საბოლოოდ დაბრუნდა საქართველოში. ასევე ჩვენი გაზეთის საშუალებით აღადგინეს ოცდახუთი წლის წინათ გაწყვეტილი კავშირი საფრანგეთში მცხოვრებმა ვლ. შარაბიძემ და მისმა მახლობლებმა.

ჩვენი საზოგადოების გაზეთისა და რადიოგადაცემების მომზადებაში, მათი სათანადო მასალებით მომარაგებაში აქტიურობას იჩენენ შ. თარხნიშვილი (არგენტინიდან), პ. ქიტაიშვილი, ს. ნიკიფორაშვილი, გ. ყალაბეგიშვილი (საფრანგეთიდან) და მრავალი სხვა.

გარეჩართველთა მოთხოვნით ყოველთვიურად ვზრდით გაზეთ „სამშობლოს ხმის“ ტირაჟს. ჩვენ გავითვალისწინეთ მკითხველთა მოთხოვნა და მაისიდან ერთი ნომრის მაგივრად ყოველთვიურად ორ ნომერს ვუშვებთ. ვცდილობთ ყოველწაირად დავკმაყოფილოთ აგრეთვე თვით გაზეთებისა და რადიოგადაცემებისადმი წაყენებული მოთხოვნები იმ მხრივ, რომ ისინი კიდევ უფრო საინტერესო და მრავალფეროვანი გავხადოთ უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთათვის.

ბევრი ჩვენი თანამემამულე წუხილს გამოთქვამს იმის გამო, რომ მათმა ბავშვებმა კარგად არ იციან ქართული ენა და გვთხოვენ დახმარებას, რჩევას, თუ როგორ მოიქცნენ. ჩვენ ვაწვდით მათ „დედა ენას“, სხვა სახელმძღვანელოებს, ადვილად საკითხავ წიგნებს, მაგრამ ეს, რა თქმა უნდა არ არის საკმარისი. საჭიროა ასეთი ბავშვები და ახალგაზრდები მომავალში მეტი რაოდენობით მოვიწვიოთ საქართველოში, ზაფხულის პერიოდი, არდადეგების დღეები მათ შეუძლიათ გაატარონ ჩვენს პიონერთა ბანაკებში, დასასვენებელ სახლებსა და სანატორიუმებში, სადაც შესაძლებლობა ექნებათ დაეუფლონ მშობლიურ ენას, თვალით ნახონ და გაიცნონ ჩვენი ხალხი, დაუმეგობრდნენ ქართველ ახალგაზრდებს, შეექმნათ ნამდვილი წარმოდგენა ჩვენს ისტორიაზე, კულტურაზე, ყოფაცხოვრებაზე. მომავალში ჩვენ უნდა შევეცადოთ აგრეთვე სრულად დავაკმაყოფილოთ ჩვენი ახალგაზრდა თანამემამულეების სურვილი საქართველოში სწავლა-განათლების მიღებისა. აი ერთი წერილი მრავალთაგან, რომელიც ჩვენ ამ დღეებში მივიღეთ: „ყოველდღე ველოდებით, „დედა ენას“ და ქართული ენის სახელმძღვანელო სხვა წიგნებს. ა.ბ.ილგაზრდებს, რომელთაც სურვილი აქვთ უმაღლესი განათლება თქვენი დახმარებით საქართველოში მიიღონ, გადაწყვეტილი აქვთ მანდ ჩამოსვლამდე შეისწავლონ ქართული ენა. ეს ამბავი ჩვენ დიდ იმედებს გვაძლევს მომავლისათვის“...

ჩვენი საზოგადოების ვალია არ გაუმტყუნოს ეს იმედები უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებს. საქართველოში, სადაც სწავლა-განათლება მთლიანად სახელმწიფოს ხარჯზე მიმდინარეობს, ახალგაზრდა თანამემამულეებს საშუალება ექნებათ სრულყოფილად დაეუფლონ ჭართულ მეცნიერებასა და ხელოვნებას, რითაც ყველანი სამართლიანად ვამაყობთ. შემდეგში ისინი, საქართველოში სწავლამიღებული ახალგაზრდები ფასდაუდებელ სამსახურს გაუწევენ ჩვენს ქვეყანას ქართული ეროვნული კულტურის პროპაგანდის საქმეში, უცხოელთათვის გაცნობის თვალსაზრისით, რასაც აგრეთვე მცირე მნიშვნელობა როდი აქვს.

დღემდე ჩვენ პრაქტიკაში გვქონდა უცხოეთში მცხოვრები თანამემამულეების, განსაკუთრებით ახალგაზრდების საქართველოში მოპატიჟება გარკვეული ხნით (უმეტესად ერთი ან ორი თვით). გასულ წელს ჩვენთან სტუმრად იმყოფებოდნენ მ. ნატროშვილი ჰოლანდიიდან, ა. რუხაძე და თ. ნასყიდაშვილი საფრანგეთიდან და სხვები. უნდა ითქვას, რომ მათთან შეხვედრებმა და ახლოს გაცნობამ დიდი იმედები ჩაგვინერგა. ესენი არიან ახალგაზრდები, რომლებსაც წრფელი გულით უყვართ თავიანთ მამა-პაპათა მიწა-წყალი — საქართველო, რომელსაც ისინი სავსებით სამართლიანად თავიანთ სამშობლოდ თვლიან. ცხადია, პირველ რიგში ეს მათი მშობლების, მათი მახლობლების დამსახურებაა, რომლებიც აკვნიდანვე უნერგავენ მომავალ თაობას სამშობლოსადმი სიყვარულს. ჩვენი ვალია ხელი შევუწყოთ ამ კეთილშობილური გრძნობის კიდევ უფრო განმტკიცებასა და გაღვივებას.

არანაკლები მნიშვნელობა აქვს ჩვენი საზოგადოების წევრთა პირად შეხვედრებს თვით უცხოეთში, იქ მცხოვრებ თანამემამულეებთან. გასულ წელს საზღვარგარეთის მრავალ ქვეყანაში იყვნენ და გულახდილი საუბრები ჰქონდათ იქ მყოფ ქართველებთან ი. სუხიშვილს, ი. და გ. აბაშიძეებს, ბ. ულენტს, ს. ჭილაიას და მრავალ სხვას, რამაც გარკვეული როლი ითამაშა ჩვენს შორის ნამდვილი ურთიერთგაგებისა და ძმური ატმოსფეროს დამყარებაში. პირადად მე მომდინარე წლის მაისში მეტად საგულისხმო შეხვედრები მქონდა ინგლისში მცხოვრებ თანამემამულეებთან, სადაც საბჭოთა კავშირ-ინგლისის მეგობრობის საზოგადოების დელეგაციის შემადგენლობაში ვიმყოფებოდი. როდესაც იქაურმა ქართველებმა ჩემი იქ ყოფნა გაიგეს, თავანიანად მომიწვიეს თავიანთ შეკრებაზე, რომელსაც ყოველი წლის 26 მაისს მართავენ. მიწვევა სიამოვნებით მივიღე და მეტად კმაყოფილიც დავრჩი. შეხვედრამ გულთბილ ვითარებაში ჩაიარა და ორივე მხრივ მხოლოდ იმაზე გამოითქვა სინანული, რომ აქამდე პირდაპირი შეხვედრები ძალიან ნაკლებად გვქონდა. მე ამ შეხვედრისას ვნახე ბევრი ისეთი ადამიანი, რომელსაც შეიძლება ითქვას, ფანატიკურად უყვარს საქართველო, მზად არის გააკეთოს ყველაფერი მისი კეთილდღეობისათვის და თუ დღემდე ეს ვერ მოუხერხებია, მხოლოდ იმიტომ, რომ



საჭართველოს უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდებია. ამ გოგონებმა გადაწყვიტეს მეყვავილე-დეკორატორები გახდნენ. ისინი თბილისის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში აბარებენ მისაღებ გამოცდებს.

კავშირის საქართველოს საზოგადოების მეორე კლინიკი

პროფესორ პ. ჰ. ხუჭუას მოკლე ნეგა

ჯერ კიდევ არასწორი წარმოდგენა აქვს ჩვენს ცხოვრებაზე, იმ პოლიტიკურ ატმოსფეროზე, რომელიც ჩვენში სუფევს.

მე დიდად ამაღელვა ერთ-ერთი ჩვენი თანამემამულის შეშფოთებამ იმის გამო, მათთან ასეთი შეხვედრისათვის, შეიძლება რაიმე საწყენი შემთხვეოდა სამშობლოს დაბრუნების შემდეგ. ცხადია, მე ამ „საწყენზე" არც მიფიქრია, რადგან ეს არ შეიძლება მომხდარიყო, მაგრამ იმ ადამიანის ჩემს ბედზე ზრუნვამ და უურადღებამ მაინც ამაღელვა და წუენასთან ერთად ერთგვარი კმაუოფილებაც მაგრძნობინა. ეს მეტად კარგია, როცა ჩვენი თანამემამულე თავისი მოძმისადმი ასეთ ყურადღებას იჩენს.

ჩვენ, საქართველოში და მის ფარგლებს გარეთ მცხოვრებ ქართველთა აბსოლუტურ უმრავლესობას, ერთი მიზანი გვამოძრავებს — აღმოვფხვრათ ის ეჭვი და უნდობლობა, რაც შესაძლოა არსებობდეს ჩვენს შორის, საერთო ძალით ვიბრძოლოთ ჩვენი ქვეყნის, ჩვენი ხალხის კიდევ უფრო აუვავებისა და ბედნიერებისათვის.

პ. კანდელაკის

სიტყვა

მუშაობა, რომელსაც საზოგადოება აწარმოებს უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა შორის, მეტად საპატიო და მნიშვნელოვანია. თვითეული წიგნი, პატარა სამახსოვრო საჩუქარი, რომელიც შეიძლება ჩვენგან მიიღოს საზღვარგარეთ მცხოვრებმა ქართველმა, მეტად ძვირფასი რამ იქნება მისთვის, რადგან იგი ყოველდღიურად მოიგონებს თავის მამა-პაპათა მიწა-წუალს, თავის სამშობლოს. ამაზე მეტყველებდა თანამემამულეთა ის წერილები, რომლებიც პროფესორმა პ. ხუჭუამ აქ დღეს გაგვაცნო. ჩვენი საზოგადოებრივი ორგანიზაციები, დაწესებულებები, თვითეული ჩვენგანი მოვალეა თავისი წვლილი შეიტანოს ამ მეტად კეთილშობილურ საქმეში. თბილისის საკარო ბიბლიოთეკა მზად არის ყოველწლიურად რამდენიმე ასეული წიგნი გადასცეს თქვენს საზოგადოებას უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან გასაგზავნად.

ო. ფირალიშვილის

სიტყვა

საზოგადოებამ მეტი უურადღება უნდა დაუთმოს გარექართველ საზოგადო მოღვაწეთა შემოქმედების შესწავლისა და რესპონსიკში პოპულარიზაციის საქმეს. პირადად მე შეძლებისდაგვარად, იმ მასალების საფუძველზე რომლებზეც ხელი მიმიწვდება, ვსწავლობ უცხოეთში მოღვაწე ქართველ მხატვართა შემოქმედებას.

ახლა გამოსაცემად მზად მაქვს წიგნი მხატვარ ალექსი შერვაშიძის შესახებ, სადაც ძირითადად განხილულია მისი თეორიული შეხედულებები მხატვრობის შესახებ. საუურადღებოა ის ფაქტი, რომ ა. შერვაშიძე რეალისტური პოზიციებიდან ეკამათება ისეთ შესანიშნავ თეორეტიკოსს, როგორიც სტასოვია. შერვაშიძე ბრწყინვალე ნიჭის შემოქმედი იყო. მან, სამეფო „ბალეტის" მთავარმა მხატვარმა, პირველმა გააფორმა ჩვენი ეროვნული ოპერები „აბესალომ და ეთერი" და „თქმულება შოთა რუსთაველზე". თავისი ცხოვრების მნიშვნელოვანი ნაწილი ა. შერვაშიძემ საფრანგეთში გაატარა. ამ ხნის მანძილზე მან არა ერთი და ორი მნიშვნელოვანი ტილო შექმნა, რომელიც უცნობია ჩვენი ფართო საზოგადოებისათვის.

გარდა აღნიშნული მხატვრისა, საზღვარგარეთ ცხოვრობენ ფუნჯის ისეთი გამოჩენილი ოსტატები, როგორიც არიან ვერა ფაღავა, ვარლამიშვილი და სხვები, რომლებიც კარგად არიან ცნობილნი ევროპასა და ამერიკაში. ჩვენში კი მათ შესახებ ჯერ კიდევ არა გვაქვს სრული წარმოდგენა.

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოებამ უნდა გამოიჩინოს მეტი ინიციატივა ამ მხატვრების შესწავლისა და პოპულარიზაციის საქმეში.

ს. ნინიკაშვილის

სიტყვა

მე ნახევარ საუკუნეზე მეტი დავუყავი საზღვარგარეთ და კარგად ვიცი, რას ნიშნავს უცხოთა ჭერქვეშ ცხოვრება. ყველაფერს რომ თავი დავანებეთ, იმაზე ძნელი რა უნდა იყოს, როცა შენს ახალგაზრდობასა და ენერგიას სხვათა ძლიერებას ახმარ და შენი ქვეყნისათვის, შენი ხალხისათვის ვერაფერი ვერ გირგია. მსოფლიოს ბევრი ქვეყანა მოვიარე, მრავალი ეროვნების ხალხი მინახავს, უმეტესად თუ მატერიალურ გაჭირვებას განვიცდიდი, ზოგჯერ სამაო ლუკმაპურიც მჭონია, მაგრამ უოველთვის იმას ვნატრობდი საქართველოში ვუოფილიუავი და გამხმარი ქერის პური მეჭამა, ვიდრე უცხოეთში უზრუნველად მეცხოვრა.

ამით იმის თქმა კი არ მინდა, თითქოს საზღვარგარეთ მცხოვრებ ქართველთა შორის მე გამონაკლისს წარმოვადგენდი. მე კარგად ვიცი, რომ ასევე ფიქრობს სხვადასხვა მიზეზით სამშობლოს მოცილებული უოველი თანამემამულე. მე წარმოდგენილი მაქვს, თუ როგორ მოუთმენლად მოელიან ისინი ჩვენი გაზეთის თვითეულ ნომერს, უოველ რადიოგადაცემას. სწორად აღნიშნა თავის მოხსენებაში საზოგადოების თავმჯდომარემ პროფესორმა პ. ხუჭუამ: უცხოეთში ბევრი ისეთი თანამემამულე ცხოვრობს, რომელთაც ფანატიკურად უუვართ საქართველო. ამიტომაც ცხადია, რომ ჩვენს მიერ გაგზავნილი თვითეული წიგნი, მუსიკისა თუ სიმღერის ჩანაწერი უველაზე ძვირფას საჩუქარს წარმოადგენს მათთვის. ხოლო რა შეიძლება კარგის მეტი ითქვას იმ ჭეშმარიტად უანგარო დახმარებაზე, რომელსაც საზოგადოება უწევს უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებს, როცა მათ თავისი ხარჯით საქართველოში ჰპატიუებს სტუმრად.

მინდა გულწრფელი მადლობა გადავუხადო საზოგადოების უველა აქტივისტს ამ დიდი უურადღებისათვის, თანამემამულეთა ბედზე ასეთი ზრუნვისათვის, აგრეთვე იმ დახმარებისათვის, რომელიც პირადად მე გამიწია სამშობლოში დაბრუნების შემდეგ.

ეფრემ მეორის

სიტყვა

ამ ორი წლის წინათ მე ბედნიერება მქონდა შევხვედროდი საფრანგეთში მცხოვრებ ქართველებს და დავრწმუნდი, რომ უოველი მათგანი, სადაც უნდა იყოს გადახვეწილი იგი ბედის უკუღმართობის წყალობით, რა გასაჭირში, გინდა ფუფუნებაშიც უნდა ცხოვრობდეს იგი უცხოეთში, უოველ წუთს მაინც თავის სამშობლოზე— საქართველოზე ოცნებობს, სულით და გულით უოველთვის ქართველად რჩება. თვითეული ჩვენგანი მოვალეა განვამტკიცოთ ეს წმინდა გრძნობა, მოვსპოთ ის გაუგებრობა თუ მტრობა, რომელიც შეიძლება ჯერ კიდევ არსებობს ჩვენს შორის. ჩვენ უნდა დავეხმაროთ უცხოეთში მცხოვრებ ქართველებს იპოვნონ გზა ჭეშმარიტებისა და ბედნიერებისა. ამას გვიკარნახებს მოყვარისადმი სიყვარული, ამას გვიკარნახებს მამულისადმი სიყვარული.

მე უკვე საკმაო ხნისა ვარ. ბევრი კარგი რამ მინახავს ამ ქვეყანაზე, უფრო მეტი მსმენია, მაგრამ ჩვენი საერთო საქმისათვის, ჩვენი ერის ინტერესებისათვის ისეთი კარგი დაწესებულება, რომელსაც ბატონი პავლე ხუჭუა ხელმძღვანელობს, არა მგონია ბევრი არსებობდეს.

წელან ბატონმა კანდელაკმა თქვა, მზადა ვართ ქართული წიგნები გადმოგცეთ საზღვარგარეთ ქართველებთან გასაგზავნადო. ამ საქმეში დახმარებლად არც სხვები იტუვიან უარს და, რა თქმა უნდა, არც ქართული ეკლესია დადგება გვერდზე, როცა ასეთი კეთილშობილური საქმე კეთდება. გთხოვთ ჩვენც გვიგულოთ თქვენს ერთგულ მოკავშირეებად.

შ. ამირანაშვილის

სიტყვა

საქმე, რომელსაც ჩვენი საზოგადოება ემსახურება, ის, რაც გაკეთდა, ნამდვილად ქების ღირსია. მაგრამ მარტო ამით შემოფარგლვა არ შეიძლება. სწორად აღნიშნა ო. ფირალიშვილმა, რომ ბევრი ჩვენი თვალსაჩინო მოღვაწე, რომელსაც საზღვარგარეთ უცხოვრია ან ცხოვრობს, ნაკლებად ან სრულებით არ არის შესწავლილი. ვფიქრობ ამ საქმეს სწორედ ჩვენმა საზოგადოებამ უნდა მოჰკიდოს ხელი.

ძალიან კარგია, როცა უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებს ვპატიუებთ სტუმრად საქართველოში, მაგრამ განა ნაკლებად საინტერესო იქნება გარექართველ მეცნიერებთან, ლიტერატურისა და ხელოვნების მოღვაწეებთან შეხვედრა? მათ საკმაოდ დიდი გავლენა აქვთ საზღვარგარეთ მცხოვრებ მემამულეთა შორის და ამიტომაც მათ მიერ ნათქვამ უოველ სიტუვას დიდი გულისუურით მოისმენენ, უფრო მეტს დაუჯერებენ, ვიდრე ეს შეიძლება გაზეთითა და რადიოთი გაკეთდეს. ცხადია, ამუამად ჩვენ მოსარიდებელი თუ დასამალავი არაფერი გვაქვს ჩვენს თანამემამულეებთან. პირიქით, ის, რაც ამ ბოლო წლებში ჩვენში აშენდა და გაკეთდა, არანაკლებ სიამაყის გრძნობას გამოიწვევს ჩვენთან კეთილი გულით მოსულ თანამოძმეთა შორის. ვფიქრობ ეს ნაბიჯი ჩვენმა საზოგადოებამ უნდა გადადგას შოთა რუსთაველის მომავალ იუბილესთან დაკავშირებით.

საზოგადოებამ ასევე მეტი ინიციატივა უნდა გამოიჩინოს უცხოეთში არსებული ქართული კულტურის კერების შესწავლისათვის. ამას წინათ საფრანგეთიდან ჩვენთან სტუმრად ჩამოვიდა ორი სწავლული, რომელთაც საზღვარგარეთის რამდენიმე ქვეყანა მოიარეს, ფირზე აღბეჭდეს იქ არსებული ქართული კულტურის კერები, გაეცნენ იქაურ საარქივო მასალებს და დამატებითი ცნობების მისაღებად და მათ ხელთ არსებულ მასალებთან შესაჯერებლად დახმარებისათვის ჩვენ მოგვმართეს.

მადლობის მეტი რა გვეთქმის იმ ფრანგებისათვის, მაგრამ ეს საქმე პირველ რიგში ქართველების საქმეა და კარგი იქნება, თუ ჩვენი საზოგადოება ამას უურადღებას მიაქცევს. იქნებ ამ საზოგადოების ინიციატივით შედგეს კინომუშაკთა ჯგუფი, რომელიც მოინახულებს საზღვარგარეთში ქართული კულტურის ძეგლებს, ფირზე აღბეჭდავს მათ და კარგი შენაძენით გაგვახარებს. ზოგიერთ ქვეყანაში, სადაც ჩვენი მუშაკების გაგზავნა შედარებით ძნელია, ამ ამოცანის შესრულება საზოგადოების თხოვნითა და ხელშეწყობით შეიძლება თვით უცხოეთში მცხოვრებმა ქართველებმა იკისრონ. მე ღრმად ვარ დარწმუნებული, რომ ამ კეთილშობილურ საქვილშვილო საქმეში ისინი გვერდში ამოგვდგებიან.

ვ. დონდუას

სიტყვა

მე სავსებით ვეთანხმები აკადემიკოს შალვა ამირანაშვილის წინადადებას იმის შესახებ, რომ სტუმრად მოვიწვიოთ საზღვარგარეთ მცხოვრები ქართული კულტურის მოღვაწენი. კერძოდ, რუსთაველის იუბილესთან დაკავშირებით კარგი იქნებოდა, ჩვენს შორის გვენახა შესანიშნავი ადამიანი დ. საუცხო რესთველოლოგი ვიქტორ ნოზაძე, რომელმაც დიდი ღვწილი დასდო ჩვენს მეცნიერებას.

მე წინადადება შემომაქვს აგრეთვე ჩვენი საზოგადოების ხაზით საქართველოში სისტემატურად აღინიშნოს უცხოეთში მცხოვრებ გამოჩენილ თანამემამულეთა იუბილეები. მოვაწყოთ მათი შემოქმედებისადმი მიძღვნილი საღამოები, გამოფენები, პრესისა და რადიოს საშუალებით ფართოდ გავაცნოთ რესპუბლიკის მოსახლეობას ყოველივე კარგი, რაც მათ სამშობლოსაგან მოცილებულ ადამიანებს მისდა სადიდებლად და სასახელოდ წლების მანძილზე შეუქმნიათ.

ო. გიგინეიშვილის

სიტყვა

ადრე გამოსულმა ამხანაგებმა აღნიშნეს, რომ კარგი შედეგი მოაქვს უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან პირად შეხვედრებს. საზოგადოების პრეზიდიუმი მომავალში ალბათ გაითვალისწინებს ამ წინადადებას. ჯერჯერობით ჩვენ გადაწყვეტილი გვაქვს მოვიწვიოთ ამერიკის შეერთებული შტატებიდან ბალეტის ცნობილი მსახიობი თამარ თუმანოვა გასტროლებზე ან სტუმრად, როგორც ეს მისთვის იქნება მოსახერხებელი. ვფიქრობთ მომავალში უფრო ხშირად გვექნება საშუალება შეხვდეთ უცხოეთში მოღვაწე ქართველ ხელოვანთ. კიდევ უკეთესი იქნებოდა დელეგაციების სახით გავგეცვალა ცნობილ ანსამბლებში მაინც საზღვარგარეთ არსებულ ქართველთა საზოგადოებებთან, მაგრამ ჯერჯერობით ჩვენთვის ცნობილი არ არის, აქვთ თუ არა ასეთი სურვილი იმ საზოგადოებებს ან სათანადო მომზადება. ცხადია, ასეთი დელეგაციების ურთიერთგაცვლა დიდად სასარგებლო იქნებოდა ჩვენთვისაც და მათთვისაც.

საზოგადოებამ მიიღო რამდენიმე წერილი უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთაგან, სადაც ისინი მწუხარებას გამოთქვამდნენ იმის გამო, რომ ვერ შეძლეს დასწრებოდნენ საქართველოს ხალხური ცეკვის დამსახურებული ანსამბლის კონცერტებს. რაც გამოწვეული იყო იმით, რომ ბილეთები ან არ იშოვებოდა, ანდა ძალიან მაღალ ფასებში იყიდებოდა. ვფიქრობ, ილიკო სუხიშვილი და ანსამბლის სხვა წევრები სიამოვნებით დათანხმდებიან ჩვენს წინადადებას გა-

(დასასრული მე-6 გვ.).

უცხოეთში მყოფ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოების მეორე პლენუმი

(დასასრული).

მართონ კონცერტები სპეციალურად იქ მცხოვრებელი თანამემამულეებისათვის დაბალ ფასებში ან უფასოდაც კი. თუმცა აქ მთავარია არა ფული, არამედ პირადი შეხვედრები, ურთიერთგაგება და ის პატივისცემა, რომელიც გვმართებს ჩვენი მოძმეებისადმი. ასეთივე თხოვნით შეიძლებოდა მიგვემართა საზღვარგარეთ გასტროლებზე მიმავალი სხვა კოლექტივებისთვისაც.

რ. ელიგულაშვილის
სიტყვა

მაის-ივნისში ირანში მოეწყო საბჭოთა გამოფენა, სადაც დიდი ადგილი ჰქონდა დათმობილი საქართველოს რესპუბლიკას. მნახველთა ისეთი დიდი რაოდენობა, როგორიც საქართველოს პავილიონში იყო, ალბათ არ ახსოვს არც ერთ გამოფენას. გამოსახლელ დღეებში საქართველოს გამოფენას რამდენიმე ათასი მნახველი ჰყავდა. შთაბეჭდილებათა წიგნი სავსეა აღფრთოვანების გამომხატველი სიტყვებით ჩვენი რესპუბლიკის მიერ საბჭოთა ხელისუფლების წლებში მიღწეული წარმატებების შესახებ.

მაგრამ როგორც ამავე ჩანაწერებიდან ჩანს, გამოფენაზე მოსული ირანში მცხოვრები მრავალი ქართველი მთლიანად ვერ დაკმაყოფილდა ჩვენს მიერ წარმოდგენილი მასალებით. კერძოდ დიდი მოთხოვნილება იყო ქართულ ლიტერატურაზე, კერამიკაზე, მუსიკის ჩანაწერებზე, სუვენირებზე, რაც საკმაო რაოდენობით არ იყო გასაყიდად წარმოდგენილი. იზმირის გამოფენაზე, რომელიც აგვისტო-სექტემბერში მოეწყობა და სადაც აგრეთვე ცენტრალური ადგილი ეკნება დათმობილი ჩვენს რესპუბლიკას, ეს ნაკლოვანებანი გამოსწორებულ უნდა იქნას. ჩვენ შეგვიძლებით ამ გამოფენით სრული წარმოდგენა მივცეთ გამოფენაზე მოსულ ყველა მნახველს, თურქი იქნება ის, ქართველი თუ სხვა ეროვნების წარმომადგენელი, საქართველოს კულტურის, მეცნიერების, სპორტის და სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში მიღწეული წარმატებებზე.

გ. მღებრიშვილის
სიტყვა

უკანასკნელ წლებში გახშირდა უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეთა სტუმრობა საქართველოში. ეს მეტად კარგია, რადგან ისინი საკუთარი თვალით ხედავენ იმ გარდაქმნებს, რაც ჩვენში თებერვლის რევოლუციის შემდეგ განხორციელდა და რწმუნდებიან, რომ წარმატებანი, რომლებსაც ჩვენმა ქვეყანამ მიაღწია, საბჭოთა ხალხის ძმური თანამეგობრობის შედეგია, რომ ჩვენში არ არსებობენ „დიდი“ და „პატარა“, მჩაგვრელი და ჩაგრული ერები, როგორც ამას უცხოეთის პრესა გაჰკვირის, რომ ყოველი ჩვენი მოქალაქე ერთნაირად სარგებლობს იმ უფლებით, რაც რევოლუციამ მოგვცა.

ვფიქრობ, სწორედ ამ სტუმრობის, ურთიერთშეხვედრების მიზეზით არის გამოწვეული ის გარემოებაც, რომ ამ ბოლო ხანებში ნათლად იგრძნობა საზღვარგარეთ მცხოვრებ თანამემამულეთა მკვეთრი შემობრუნება ჩვენკენ იმ აზრით, რომ ბევრი მათგანი დღეს საკუთარ თავს თვლის არა სამშობლოსაგან საბოლოოდ მოწყვეტილ უმეოდო ბიზნად, არამედ მისგან განუყოფელ ნაწილად, მის ნამდვილ შვილად. ის ხედავს და გრძნობს, რომ მშობლიური ხალხს საბოლოოდ არ გაურისყავს იგი და გულწრფელად ზრუნავს მის მომავალზე. მე ამაში საბოლოოდ დავრწმუნდი საფრანგეთში ჩემს ძმასთან სტუმრობის დროს, სადაც ბევრ ღირსეულ ქართველს შევხვდი.

უცხოეთში მცხოვრებ თანამემამულეებთან კულტურული კავშირის საქართველოს საზოგადოებას მეტად საპატიო მისია აკისრია. იგი უნდა დაეხმაროს გარეკართველებს სამშობლოსთან კავშირის გაფართოებასა და განმტკიცებაში. ყველა ჩვენგანის ვალია ყოველნაირად შევუწყოთ ხელი ამ კეთილშობილური ამოცანის წარმატებით გადაჭრას.

ჯანმრთელობის ქარხანა

70-მდე დასახელების წამალს ამზადებენ თბილისის ქიმიურ-ფარმაცევტული ქარხნის საამქროებში. მათ შორის ტანინს, ალოეს მარტო ეს საწარმო უშვებს.

ფარმაცევტები წარმატებით ითვისებენ ახალი პრეპარატების გამოშვებას. დიგალენს, ტონაბლინს, კვატერონს, რომლებიც რესპუბლიკის საუკეთესო ფარმაცევტებისა და ქარხნის კოლექტივის გაერთიანებული ძალღონით არის შექმნილი, წარმატებით იყენებენ არა მარტო ჩვენს ქვეყანაში, არამედ სახალხო დემოკრატიის ბევრ ქვეყანაშიც.

როგორია წამლების ხარისხი? ქიმიურ-ფარმაცევტულ მრეწველობაში არსებობს მხოლოდ ერთი ხარისხი — პირველი. ამას დაუღალავად ადევნებენ თვალყურს ქარხნის ლაბორატორიის მუშაკები, სადაც ყოველდღიურად 40 ანალიზს აკეთებენ. აფთიაქებში გასაგზავნი წამლების თვითეული სერიიდან ადგენენ ეტალონს და კონტროლისათვის ერთ წელზე მეტ ხანს ინახავენ.

ახალი მოსავლის კონსერვები

თბილისის № 1 და № 2 საკონსერვო ქარხნებმა დაიწყეს ახალი მოსავლის ხენდროს გადამუშავება. წლევანდელ სეზონში აქ განზრახულია 35 პროცენტით მეტი კონსერვი გამოუშვან, ვიდრე გასულ წელს. საქართველოს კონსერვების ტრესტის ახალ ქარხნებსა და კომბინატებში დადგმულია ახალი მანქანები და აგრეგატები, აშენებულია საამქროები, დამონტაჟებულია ნაკადური ხაზები. გორის საკონსერვო ქარხანამ ვადამდე ააშენა სამავშვო კონსერვების საამქრო. ლაგოდეხის საკონსერვო ქარხანაში და აგარის შაქრის კომბინატში ახალმა ავტომატურმა აგრეგატებმა შეცვალეს ხელით შრომა. ახალი ტექნიკის ფართოდ დანერგვა, ტექნოლოგიის გაუმჯობესება საშუალებას მისცემს მრეწველობას წელს მილიონზე მეტი ქილა კონსერვი გამოუშვას, მათ შორის ბოსტნეულისა და ხილის კონსერვების 2 ახალი სახეობა: „ზაფხული“, „ბადრიჯანი ტომატში“, „დამწნილებული ბადრიჯანი“.

საღებავი და ჩაი... ჩაის ნარჩენებისაგან

მახარაძე. საღებავ ნივთიერებათა წარმოება დაიწყო ანასეულის ჩაის მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის საცდელ-საწარმოო ფაბრიკამ. ახალი საღებავებისათვის ნედლეულად იყენებენ ჩაის პლანტაციების ნარჩენებს — საგაზაფხულო და შემოდგომის მოსავლის გაუხეშებულ ფოთლებს.

„მწვანე ოქროს“ ნარჩენებისაგან მიღებული საღებავები დიდი რაოდენობით შეიცავენ „P“ და „C“ ვიტამინებს, ტანინს, კოფეინს. მათ გამოიყენებენ კვების, კერძოდ, საკონდიტრო მრეწველობაში.

ფაბრიკაში ითვისებენ აგრეთვე სწრაფხსნადი კრისტალური ჩაის წარმოებას, რომელსაც ამზადებენ მექანიკურად მოკრეფილი არაკონდიციური მწვანე ფოთლისა და ნასხლავი მასალისაგან. მეცნიერებმა გამოიანგარიშეს, რომ ნასხლავი მასალის გამოყენება შესაძლებელს გახდის რესპუბლიკის ჩაის რესურსები 50 პროცენტით გადიდდეს.

სწრაფხსნადი ჩაი გემოთი, არომატითა და ფერით არ ჩამოუვარდება პირველი ხარისხის ბაიხაო ჩაის, ხოლო ქიმიური შემადგენლობით, განსაკუთრებით ტანინ-კატეხინის კომპლექსის შემცველობით სჯობნის კიდეც.

მეოთხედი საუკუნე განშორებაში

1941 წელი, პარიზი. როგორ არ ჰგავდა იგი ქალაქს, რომელიც იმ დროისათვის მსოფლიო დედაქალაქად ითვლებოდა. ამ ულამაზესი ქალაქის სახლის კედლებზე მსხვილი ასოებით ეწერა ფაშისტების ბრძანებები —„აკრძალულია“, „დაუშვებელია“.

ფაშისტები მზად იყვნენ სუნთქვაც კი აეკრძალათ პარიზელებისათვის. მიუხედავად ამისა, მთელ საფრანგეთში იგრძნობოდა კომუნისტური პარტიის საქმიანობა. არა, ფაშისტები ვერ გრძნობდნენ თავს სრულუფლებიან ბატონ-პატრონებად პარიზში. ქალაქი ეკუთვნოდა პატრიოტებს, რომლებიც კომუნისტური პარტიის მოწოდებით აღდგნენ ფაშისტი okუპანტების წინააღმდეგ საბრძოლველად. მათ შორს გადაისროლეს დე ლა როკის მოწოდებები და აირჩიეს ესპანელი რესპუბლიკელების დევიზი „ფეხზე სიკვდილი სჯობს მუხლმოდრეკით სიცოცხლეს.

გიორგი გეგელიამ მიიღო პირველი დავალება არალეგალური ორგანიზაციიდან. მას ნაჩვენებ მისამართზე უნდა მიეტანა ფურცლებისა და გაზეთ „ლუმანიტეს“ შეკვრა. ხოლო რაც ამ ფურცლებსა და გაზეთებში ეწერა, საჭირო იყო მისულიყო ყველა პატრიოტის გულამდე. გიორგი ამაყობდა მიცემული დავალებით, მაგრამ სადღაც გულის კუნჭულში სხვა დავალებებს ელოდა. მას კი ეუბნებოდნენ, იარაღის აღების დროც მალე დადგებაო.

ივნისის ერთ დღეს სამუშაოზე მიმავალმა გიორგიმ ქუჩებში განსაკუთრებული გამოცოცხლება შეამჩნია. ადამიანები, რომლებსაც უცნობებთან დალაპარაკება ეშინოდათ, ჯგუფ-ჯგუფად იდგნენ და რაღაცაზე საუბრობდნენ. ერთი მათგანი საკმაოდ ხმამაღლა ელაპარაკებოდა შემთხვევით შეგროვილ ხალხს:

— ჰიტლერი შეიშალა! რას აკეთებს!

— რას?

— მართლა არ იცით? გერმანია თავს დაესხა საბჭოთა კავშირს.

— ოო, ახლა კი დიდხანს აღარ დასცალდება ჰიტლერს.

ამ ამბავმა ძლიერ შეაშფოთა გიორგი, ის ხომ მოწმე იყო იმ მხეცობისა, რასაც ფაშისტები სჩადიოდნენ საფრანგეთში. გიორგიმ იცოდა რამდენი სისხლი დაიღვრებოდა ამ ომში. ისიც იცოდა, რომ საბჭოთა კავშირზე ხელის აღმართვით ჰიტლერმა საკუთარ თავს გამოუტანა სიკვდილის განაჩენი.

სამშობლოსათვის ამ ძნელ წუთებში გიორგისათვის დამამშვიდებელი იყო ის გარემოება, რომ ამ დღიდან ის და სამშობლო ერთად იბრძოლებდნენ საერთო მტრის წინააღმდეგ. ამ დღეს მან იგრძნო, რომ მანძილი მას და სამშობლოს შორის აღარ არსებობდა. გიორგიმ თავის სიცოცხლის მიზნად დაისახა ბრძოლა სამშობლოს უსასტიკეს მტერთან, ბრძოლა ჰიტლერიზმთან. გიორგის მიერ შექმნილი პატარა ჯგუფი სულ უფრო და უფრო სერიოზულ დავალებებს ასრულებდა. მან შეძლო დაკავშირებოდა საბჭოთა სამხედრო ტყვეებს, რომელთა შორისაც ქართველებიც იყვნენ. გ. გეგელიანში ისინი ხედავდნენ კაცს, რომელსაც შეიძლება ენდო და რომლისგანაც მოელოდნენ ფრანგ პარტიზანებთან დაკავშირებას.


რა ხერხებს არ მიმართავდნენ გამხეცებული ფაშისტები, რათა გაეტეხათ საბჭოთა ტყვეების სულიერი სიმხნევე. ხოცავდნენ შიმშილით და ავადმყოფობით, ცემით და წვალებით, ანადგურებდნენ ცეცხლზე დაწვით და დახრჩობით, მაგრამ ყველაზე საშინელი დანაშაული იყო მათი განზრახვა გადაებირებინათ საბჭოთა ადამიანები, რომ მათ ეღალატათ თავიანთი სამშობლოსათვის და ებრძოლათ მის წინააღმდეგ. მაგრამ ჰიტლერელი გენერლების განზრახვა ჩაიფუშა, საბჭოთა ტყვეების უმრავლესობა ხელსაყრელ დროს ელოდა, რათა გაქცეულიყვნენ საკონცენტრაციო ბანაკებიდან, შეერთებოდნენ ფრანგ პარტიზანებს და მათ რიგებში განეგრძოთ ბრძოლა თავიანთი ქვეყნის განთავისუფლებისათვის.

ფრანგი პატრიოტები დიდი სიხარულით შეხვდნენ ცნობას იმის შესახებ, რომ საბჭოთა სამხედრო ტყვეებს შორის არიან არა მარტო ისეთები, რომლებსაც სურთ გადასვლა ფრონტის ხაზზე, არამედ არსებობს ისეთი ფარული ორგანიზაციებიც, რომლებიც ამზადებდნენ აჯანყებას ჰიტლერელების წინააღმდეგ.

ერთი ფარული ორგანიზაცია გიორგის მონაწილეობით შეიქმნა ქ. კასტრში, სადაც იმყოფებოდა საბჭოთა სამხედრო ტყვეების ერთი ჯგუფი.

ისინი ერთ კაფეში იკრიბებოდნენ. კაფეს პატრონი კომუნისტი იყო და აქ ორგანიზაციის წევრები თავს უშიშრად გრძნობდნენ. თავისუფლად საუბრობდნენ მომავალი გეგმებზე. მათ ეჭვის მიტანაც კი არ შეეძლოთ ერთ ქართველ ემიგრანტზე, რომელიც გესტაპოს აგენტი იყო და ყოველ საღამოს ერთ ბოთლ იაფფასიან ღვინოსთან ატარებდა დროს და თან იმახსოვრებდა ყველას და ყველაფერს, რაც კაფეში ხდებოდა, დილით კი დაწვრილებით უყვებოდა თავის უფროსებს. შედეგმა არ დააგვიანა. მალე კაფეში მოსიარულენი დააპატიმ-

გაგრძელება. დასაწყისი იხ. გაზ. „სამშობლოს ხმა“ № 8, 9, 1965 წ.



იზრდება და კეთილმოწყობილი ხდება ლანჩხუთი — რესპუბლიკის ერთ-ერთი დიდი სასოფლო-სამეურნეო რაიონის ცენტრი. უკანასკნელ წლებში აქ აშენდა ბევრი საცხოვრებელი სახლი, კულტურულ-საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობა. კეთილმოწყობილია ქუჩები, გაშენდა ახალი სკვერები.

სურათზე: ლანჩხუთის ცენტრალური მოედნის ერთ-ერთი კუთხე.

ათი წლის გეგმა

ჭიათურა. მარგანეცის ტრესტის დამხმარე საწარმოთა სამმართველოს კომუნისტური შრომის ბრიგადამ, რომელსაც ი. ვარდოსანიძე ხელმძღვანელობს, შვიდწლედის დაწყებიდან ათი წლის გეგმა შეასრულა.

ზეინკალთა ეს ბრიგადა სიცოცხლეს უბრუნებს მწყობრიდან გამოსულ მაღაროს რკინიგზის ვაგონებს, გამამდიდრებელ მანქანებს, ელექტრომაგნიტურ სეპარატორებს, სხვადასხვა მოწყობილობას. შვიდწლედის დამდეგიდან ვარდოსანიძის ბრიგადის კოლექტივი საპატიო დიფის უცვლელი კანდიდატია. ბრიგადის ყველა წევრი რაციონალიზატორია.

თვითონ ვარდოსანიძემ შექმნა ორიგინალური სამარჯვი, რომლის საშუალებით შეიძლება კბილსაჭრელ ჩარხზე ერთდროულად ორი დეტალი დამუშავდეს. მისივე წინადადებით მექანიკურ სამკროში მთელი მოწყობილობა ტექნოლოგიური ნაკადის მიხედვით განლაგდა. ამ ღონისძიებით დეტალების დამუშავება თითქმის ერთიორად დაჩქარდა.

ახალი ტიპის

ქუთაისი. ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის კოლექტივმა დაამზადა წყალსატუმბების „ეცე 10_63-270“ პირველი საცდელი ნიმუშები. მათ გამოცდა გაიარეს ზაპოროჟიეს რკინა-მადნეულის კომბინატში.

ახალი ტიპის წყალსატუმბი ცვლის მძიმეწონიანი კონსტრუქციის არტერიულ წყალსატუმბს. მას არ ესაჭიროება ლითონის მილები ჰაურებში ჩასაშვებად. სამაგიეროდ ახალ წყალსატუმბებს აქვს ჩაშაყვინთი ელექტროძრავი, რომელიც მოძრაობაში მოდის ელექტროკაბელის მეოხებით, ხოლო ტუმბო — ელექტრომრავის მეოხებით.. ამით ქარხანა თვითეულ წყალსატუმბზე 4 (ოთხ) ტონა ლითონს ზოგავს. ახალი ტიპის წყალსატუმბს შეუძლია თითქმის სამჯერ მეტი სიღრმიდან ამოტუმბოს წყალი.

უკვე დაიწყო ახალი ტიპის წყალსატუმბების სერიული წარმოება. მიმდინარე წელს ქარხანა გამოუშვებს 175 ასეთ წყალსატუმბს.

ჩრდილოეთში გზავნიან

ხუთი კაცის შრომას შეცვლის თეთრწყაროსფერი ზეფირის დასაფასებელი მანქანა, რომელიც თბილისის მარჯელადის ფაბრიკაში დაამონტაჟეს.

ავტომატები არა მარტო ზრდიან შრომის ნაყოფიერებას, არამედ მათი დახმარებით უფრო სწრაფად ხდება ახალი პროდუქციის ათვისება. მიმდინარე წელს თბილისელმა კონდიტერებმა რვა ახალი სახეობის ტკბილეული გამოუშვეს.

ამას წინათ ფაბრიკაში იყვნენ პოლარელი მკვლევარები ა. მანსვეტოვი და შ. ალეშანდროვი. საპატიო სტუმრთა წიგნში მათ ჩაწერეს: „განსაკუთრებით მოგვეწონა აღმოსავლური ტკბილეული — ნუღა, რახათლუხუმი, ჩურჩხელა“...

მიმდინარე წელს ჩვენი ქვეყნის ჩრდილოეთ რაიონების მცხოვრებლებს პირველად გაუგზავნიან აღმოსავლურ ტკბილეულს.

ნორჩი მოჭადრაკე

დიდი ხანი არ არის, რაც გალის საბჭოთა კავშირის ცნობილ მოჭადრაკეთა ყურადღების ცენტრში მოექცა. აქ იყვნენ მიხეილ ბოტვინიკი, სალო ფლორი, ნონა გაფრინდაშვილი, ხოლო ქალაქის პატარა მცხოვრებს ზურაბ სოფიას იცნობენ ვასილ სმისლოვი, მიხეილ ტალი, პაულ კერესი და სხვა მოჭადრაკეები.

ვინ არის ზურაბ სოფია? შეიძლება არც კი დაიჯეროთ, როცა გაიგებთ, რომ მოჭადრაკე ჯერ შვიდი წლისაც არ არის. პატარა ქოჩორა ბიჭუნა მთელ თავისუფალ დროს ატარებს სტადიონზე, თავის თანატოლებთან ერთად დასდევს ბურთს. საერთოდ არაფრით არ გამოირჩევა სხვებისაგან, გარდა იმისა, რომ თამაშობს ჭადრაკს. მაგრამ როგორ თამაშობს! ამას წინათ მან მოუგო გალის რაიონის გოგონების საჭადრაკო ტურნირის სამ გამარჯვებულს. იგი სწრაფად წყვეტს ორ-სამსვლიან საჭადრაკო ამოცანებს. მამამისი, რაიონში ცნობილი მშენებელი ლავრენტი სოფია ამბობს, რომ ზურაბმა ხსვის დაუხმარებლად ი'სწავლა ქართული და რუსული კითხვა, ხოლო ახლა გატაცებულია ჭადრაკის სახელმძღვანელოებით.

ერთი შეხედვით უცნაურად მოგეჩვენებათ, რომ სკოლამდელი ასაკის ბავშვი გონებაში ამრავლებს ორ და სამნიშნა ციფრებს, შეუცდომლად კრებს და აკლებს დიდ რიცხვებს. როგორც ჩანს, მისი გონება „მათემატიკურად არის მოწყობილი“...

ჯერჯერობით კი ზურაბ სოფია თამაშობს თავის ტოლებთან, გატაცებულია ჭადრაკით და... ემზადება პირველ კლასში შესასვლელად.

გმირულ ადგილებში

საქართველოს ტურიზმის რესპუბლიკური საბჭოს თბილისის საექსკურსიო ბიურომ მოაწყო დიდი სამამულო ომის 80 მონაწილის ტურისტული მოგზაურობა გმირული ბრძოლების ადგილებში სევასტოპოლის რაიონში.

ყოფილმა მეომრებმა დაათვალიერეს ნანგრევებისაგან აღდგენილი ქალაქი, სევასტოპოლის ღირსშესანიშნაობანი — მუზეუმები, გაფთრებული ბრძოლების ადგილები, საპუნ-გორის რაიონში ინახულეს ბრძოლებში დაღუპული 414-ე ქართული მსროლელი დივიზიის მეომრების ძმათა საფლავი.

მთებშია მისი გული

გომბორის მთას ტყვიის ფერი ღრუბელი ჩამოსწოლილა და საავდროდ ემზადება. ჩვენ კი მეცხვარის ქოხში ბუხარს შემოვსხდომივართ და ყურადღებით ვუსმენთ სარქალ ვანო ბექაურის საუბარს.

დიდი ხანია, რაც ვანო ბექაური თიანეთის კოლმეურნეობის მეცხვარედ მუშაობს, მთებშია მისი გულიც. ცხვარში ყოფნის სიყვარული მას თითქოს თანდაყოლილ თვისებად გადმოეცა მამა-პაპათაგან.

ვანოს ძნელი და 65 წლის გრძელი გზა მეცხვარის ბილიკებით დაიწყო სრულიად შემთხვევით და მოულოდნელად. იგი მაშინ 12 წლისა იყო. ერთხელ მამამისმა გიორგიმ, რომელიც მდიდარი თანასოფლელი მეჯოგის ცხვარს მწყემსავდა, დაავგიანა ბარში ფარის ჩამორეკვა, მეჯოგე მივიდა გიორგის ცოლთან და შვილი ვანო გააგზავნინა მთაში ამბის გასაგებად. ორ დღეს უნდა ევლო სახიფათო ბილიკებით ვანო ბექაურს, რომ მთაში მამასთან ასულიყო.

...ნაადრევი თოვლით შებურულა ტყეები და მთის ფერდობები, გზები ნამქერს დაუფარავს და არ ჩანს. ფხვიერ თოვლში მუხლებამდე იფლობა ვანო. მას მიუძღვის ერთგული ნაგაზი ბობერა. მოსაღამოვდა. ქარმა იმატა. ვანომ მხრებში ჩარგო თავი და ჩირგვის ძირს ჩაჯდა. დაღლილ-დაქანცულს იქვე ჩაეძინა...

— ბავშვი სად არის? — შესძახა შეშინებულმა ქალმა მთიდან დაბრუნებულ გიორგის.

ორ დღეს ეძება გიორგიმ შვილი. მესამე დღეს დილით შორს თოვლით გადაპენტილ ფერდობებზე ჩირგვთან შენიშნა ბობერა. გონიერ ცხოველს არ დაეტოვებია გასაჭირში ჩავარდნილი პატარა მეგობარი.

— როცა მთაში მწყემსად წავედი, — იგონებს ვანო, — მაშინ მამა აღარა მყავდა. ის 1918 წლის დუშეთის აჯანყების ერთ-ერთი აქტიური მონაწილე, ხალხის განთავისუფლების დიდ საქმეს შეეწირა.

მას შემდეგ მეცხვარის კომბალი არ გაუგდია ხელიდან ბექაურს.

ყოველთვის, როცა გაზაფხული დადგება და მთის საძოვრებზე ბალახი აბიბინდება, ვანო გამორეკავს საკოლმეურნეო ბაკიდან ორი ათასამდე სულ ცხვარს, ცხენს გადაჭიდებს საზამთრო ტანსაცმელს (ამ დროს მთაში ცივა), მხარზე გაიდებს კომბალს და გაუდგება შორეულ გზას.

— ვანო ბექაური, ამბობს კოლმეურნეობის აგიტატორი გივი ჭინჭარაული, — კარგად იცნობს თავისი კოლმეურნეობის საძოვრებს. იცის, სად დაარწყულოს ფარა, სად შერეკოს შუადღის პაპანაქება სიცხეში. ბექაურმა რაიონში პირველმა გამოიყენა ცხვრის ხელოვნური დათესვა, ყოველ წლიურად ას ნერბიზე საშუალოდ 110-115 ბატკანს იღებს და ზრდის. რაიონში რეკორდული მაჩვენებლები აქვს მატყლის ჩაბარებაშიც. აგიტატორი სხვა საინტერესო ამბებსაც ჰყვება ვანო ბექაურის საკოლმეურნეო საქმისათვის თავდადების შესახებ. შარშან ზამთარში, მაგალითად, ქარიშხალმა მოსწყვიტა ფარას 30 სული ცხვარი, მან ოთხი დღე სდია გზააბნეულ ცხვარს, ვიდრე უკლებლივ არ შეუერთა ფარას. ხოლო წელს გაზაფხულზე, როცა მასობრივი დოლი დაიწყო, მოულოდნელი ამბავი მოხდა. ზოგიერთ ცხვარს რძე გაუშრა.

— ჩაბარეთ ბატკნები სახორცედ, — ურჩიეს სპეციალისტებმა ბექაურს, — რადგან დედის რძე თუ არ ექნათ, დაიხოცებიან.

ვანო ბექაურმა უყრი არ უგდო „რჩევას“. ბატკნები თავის სახლში წაიყვანა. ოჯახის წევრები მათ საწოვრით ძროხის რძეს ასმევდნენ. ახლა ისინი არ ჩამორჩებიან არც წონით, არც ჯანმრთელობით იმათ, რომლებიც დედის რძით გაიზარდნენ.

რეს, ორი დახვრიტეს, ხოლო დანარჩენებს სხვადასხვა დროით პატიმრობა მიუსაჯეს.

უფრო მეტ პასუხსაგებ დავალებებს იღებდა გიორგი გეგელია პარტიული ხელმძღვანელობისაგან. მას მთელ საფრანგეთში უხდებოდა მგზავრობა, რათა დაკავშირებოდა ცალკეულ ჯგუფებს. ასეთი მგზავრობისათვის კი საჭირო იყო საიმედო საბუთები, მისი ქართველობა და იურისტობა არაფერში გამოსაყენებელი არ იყო. ფრანგმა მეგობრებმა სასწრაფოთ გამოუცვალეს პასპორტი, გიორგი გეგელია ახალი პასპორტით იყო უან ეგებარი, ხოლო მოპარული დიპლომით პეტენის მილიციის კაპიტანი. ამ დიპლომის მნახველ გერმანელები არაერთხელ გაჭიმულან შის წინაშე, რაც საშუალებას აძლევდა მას თავისუფლად ეარა ქვეყნის ყველა მიმართულებით. ფორმის ტარება კი არ იყო აუცილებელი. მაგრამ გიორგი იძულებული გახდა განშორებოდა ყველა მიჩვეულ გვარსა და კაპიტნობას.

ერთხელ გიორგი არაოკუპირებული ტერიტორიიდან ოკუპირებულში მიდიოდა. ქალაქ შატოში უნდა გადამჯდარიყო სხვა მატარებელში, როდესაც ვაგონში ჯდებოდა, მან წარადგინა პასპორტი და პოლიციელის დიპლომი.

— თქვენ ფრანგი ხართ?

— დიახ, უფრო სწორედ ფრანგი ბასკი.

— ჰოო, აი რა. თქვენ ამ მატარებლით არ წახვალთ და ამ საბუთებს არავის არ ანახვებთ. შედით კაფეში სადგურის ახლოს, მეც იქ მოვალ, მეც ფრანგი ვარ, მენდეთ.

გიორგის დამაჯერებლად ეჩვენა გვარდიელის სიტყვები. მან კი განაგრძო:

— გაქცევა არ გაბედოთ. თქვენმა გაქცევამ შეიძლება ბევრი თქვენი ამხანაგი დაღუპოს. წადით, წინ, მე თქვენს უკან ვივლი.

ამ დროს მატარებელი დაიძრა გიორგი დაემორჩილა გვარდიელის რჩევას. კაფეში ორივენი ერთად შევიდნენ.

— ვერ გავიგე, რა გინდათ ჩემგან?

— ყოველ შემთხვევისათვის ჰკითხა გიორგიმ გვარდიელს.

— მე ვხედავ, რომ თქვენ მე კიდევ არ მენდობით.

— ყური დამიგდეთ: გერმანელებმა და პეტენის პოლიციამ შეიტყვეს, რომ დოკუმენტები, ისეთი როგორიც თქვენ წარმომიდგინეთ, მოპარულია და ვისაც კი უნახავენ, სასწრაფოდ დაუპატიმრებენ. ახლა გამიგეთ?

ფრანგმა გვარდიელმა გაჰკრა ასანთი, თითქოს სურდა სიგარეტი გაებოლებინა, მაგრამ ცეცხლი დიპლომს და პასპორტს მოუკიდა.

გეგელია სასწრაფოდ დაუკავშირდა ტიზონს, რათა გაეფრთხილებინათ და გადაერჩინათ ამხანაგები.

მალე უველა დიპლომი, დაახლოებით ორი ათასი ცალი, ჩამოერთვათ მებრძოლებს.

(დასასრული იქნება).



საქართველო მდიდარია სააგარაკო ადგილებით, სადაც შეიძლება დაისვენო სულიერად და ფიზიკურად, გაიკაჟო ჯანმრთელობა. აბა, განა რა სჯობს ზაფხულის ცხელ დღეებში გაკურიანის ამ ფიჭვნარში გასეირნებას!

სპორტული მიმოხილვა

ოდესაში ადგილობრივ სკას-თან მოგების შემდეგ (3:0) თბილისის „დინამო“ კვლავ წარუმატებლად გამოდის. გუნდმა ერთბაშად დაჰკარგა საბრძოლო ფორმა და არაფრით არ ჰგავს იმ კოლექტივს, რომელიც შარშან ყველასაგან გამოირჩეოდა „აგრესიულობით“. ქართველი ფეხბურთელები კრიზისს განიცდიან, მათ უკვე 6 თამაში წააგეს, აქედან ოთხი საკუთარ მინდორზე და თასის გათამაშებასაც გამოაკლდნენ ნახევარფინალში.

გუნდის წამყვანი მოთამაშეების ნაკრებში დაკავებამ, თამაშებმა თასზე და პირველობაზე მათგან დიდი ფსიქოლოგიური დატვირთვა მოითხოვა, როგორც ჩანს გუნდი არ იყო ამისათვის მზად. ახლა მთელი რიგი ღონისძიებები იქნა მიღებული და უნდა ვიფიქროთ მდგომარეობა გამოსწორდება, თუმცა შარშანდელი მიღწევის გამეორება უკვე შეუძლებელია.

მნიშვნელოვნად გააუმჯობესა თამაში ქუთაისის „ტორპედომ“. გუნდი ახლა ალმავლობის გზაზეა და თუ ასე განაგრძო, იგი არა მარტო შეინარჩუნებს ადგილს „ა“ კლასში, არამედ კარგ ადგილსაც დაიკავებს.

საქართველოს საჭადრაკო ჩემპიონატზე ქალთა შორის 15 წლის **ნანა ალექსანდრიამ** კვლავ დაამტკიცა, რომ იგი უძლიერესია. ნანამ ღირსეულად მოიპოვა რესპუბლიკის ჩემპიონის წოდება.

ლენინგრადში დამთავრდა სპორტ-საზოგადოება „დინამოს“ საკავშირო ჩემპიონატი ჩოგბურთში. ვაუთა შორის გაიმარჯვა ა. **მეტრეველმა**, რომელმაც ფინალში დაამარცხა თავისი ძირითადი მეტოქე თ. ლეიუსი.

ორ კვირაზე მეტია მოსკოვში მიმდინარეობს პროფკავშირთა საკავშირო სპარტაკიადა, რომელშიც ყველა მოკავშირე რესპუბლიკებისა, მოსკოვისა და ლენინგრადის ნაკრები გუნდები მონაწილეობენ. გუნდურ ჩათვლაში ჩვენი რესპუბლიკის სპორტსმენები მეხუთე ადგილზე არიან.

უკვე გამოვლინდნენ ჩემპიონები 12 სახეობაში. სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ თავისუფალი სტილით მოჭიდავეები და სამბისტები. თავისუფალ მოჭიდავეთა პირად ჩათვლაში ზ. შეურილაძემ, ზ. ბერიაშვილმა პირველი ადგილი დაიკავეს. სამბოში კი სპარტაკიადის ოქროს და ვერცხლის მედლები მოიპოვეს ა. ზურაბაულმა, ფ. ჩიკვილაძემ, ბ. ბალაკაშვილმა და ლ. კაციაშვილმა. სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა აგრეთვე მოფარიკავე ოსიპოვი. ჩოგბურთელები (პირად ჩათვლაში) ა. ივანოვა, შერეულ წყვილთა შორის ა. კაკულია — ა. ივანოვა და ქალთა წყვილებში ა. ივანოვა — ი. ერმოლოვა, მეორე ადგილი დაიკავეს საქართველოს ჩოგბურთელებმა და კალათბურთელმა ქალებმა.

ახლა მიმდინარეობს ფინალები წყალბურთსა და ხელბურთში, მაგიდის ჩოგბურთსა და მძლეოსნობაში. საკავშირო სპარტაკიადა დამთავრდება 14 აგვისტოს ფიზკულტურელის საკავშირო დღეს, რომელსაც მთელი საბჭოთა ქვეყანა აღნიშნავს.

სულ მალე დაიწყება მსოფლიოს უნივერსიადა, უკვე ცნობილია, რომ კალათბურთელთა გუნდში შეუყვანილნი არიან ს. გლურჯიძე, ზ. საანდლელიძე, ა. სხირელი.

მოისმინეთ რადიოგადაცემები ქართულ ენაზე ყოველი თვის მეორე და მეოთხე სამშაბათს 7 საათიდან 7 საათსა და 30 წუთამდე. შუა ევროპის დროით საშუალო ტალღაზე 227 მეტრი ან 1322 კილოგერცი. მოკლე ტალღაზე — 30,83 მეტრი ან 9730 კილოგერცი.

გადაცემები ქართულ და აფხაზურ ენებზე შუა და აღმოსავლეთის ქვეყნებისათვის ყოველ კვირა დღეს 17 საათსა და 45 წუთიდან 18 საათსა და 15 წუთამდე, თბილისის დროით მოკლე ტალღაზე— 50.59 მეტრი ან 5930 კილოგერცი.

სარედაქციო კოლეგია

ჩვენი მისაპარსი

თბილისი, გ. ათონელის ქ. № 25.